

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი №9

ქ. ლანჩხუთი

22.11.2019 წელი

11.00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ: საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, კომისიის წევრები: აკაკი იმნაიშვილი, გიორგი ჩახვაძე, ციცინო ჩხაიძე და ზურაბ კუკულავა.

მოწვეული პირები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი ალექსანდრე სარიშვილი, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია.

სხდომის თავმჯდომარემ, ალექსანდრე მახათაძემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის შესახებ.

/მომხსენებელი: ალექსანდრე მახათაძე/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის შესახებ.

/მომხსენებელი: ალექსანდრე მახათაძე/

3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის №61 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი: ალექსანდრე მახათაძე/

4. სხვადასხვა საკითხები.

სხდომის თავმჯდომარემ, ალექსანდრე მახათაძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს.

მომხრე-5, წინააღმდეგი-არცერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების

პროექტის განხილვის შესახებ. ისაუბრა კომისიის თავმჯდომარემ ალექსანდრე მახათაძემ, მან აღნიშნა, რომ ბოლო წლებში არსებული სტრატეგიის შესაბამისად პრიორიტეტულ მიმართულებებზე მიმართული სახსრების ზრდამ შესაძლებელი გახადა ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარება, რითაც თავის მხრივ, უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება, მუნიციპალიტეტში ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, კულტურისა და სპორტის სფეროების განვითარება. ზემო აღნიშნულის გათვალისწინებით 2020-2023 წწ-ში მუნიციპალიტეტის სტრატეგია თითქმის უცვლელია და მოიცავს ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარებას, მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესებას, საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფას, ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვას და სკოლამდელი განათლების ხელშეწყობას. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ძირითადი პრიორიტეტებია:

- ინფრასტრუქტურის განვითარება;
- დასუფთავება და გარემოს დაცვა;
- განათლება;
- კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი;
- მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა.
- მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით კომისიის წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.

კომისიამ დაადგინა რომ წარმოდგენილი დოკუმენტი საკრებულოს სხდომაზე განხილულ იქნეს დადებითი დასკვნით:

მომხრე-5, წინააღმდეგი-არცერთი.

დღის წესრიგის მეორე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის შესახებ.

მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა, **როლანდ ლაშხიამ** განაცხადა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დაგეგმვისას მაქსიმალურად ყოფილიყო გათვალისწინებული ის ამოცანები, რაც ზოგადად, დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობების შესრულებისთვისაა საჭირო. აქედან გამომდინარე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ეკონომიური მდგომარეობის გათვალისწინებით, 2020 წლის ბიუჯეტი განისაზღვრა 10742000 ლარით. როგორც ცნობილია, ბიუჯეტი შედგება შემოსავლებისა და ხარჯვითი ნაწილისაგან. რა თქმა უნდა, განხილვის პროცესში წამოიჭრება გარკვეული შენიშვნები და მოთხოვნები, მაგრამ წარმოდგენილი პროექტი გახლავთ დაბალანსებული. როგორც პროექტიდან ჩანს, არის გარკვეულ ფარგლებში მატებები დამატებითი ღირებულების გადასახდის ხარჯზე, სხვა მხრივ კი, მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის გათვალისწინებით ძირითადად შენარჩუნებულია იგივე მაჩვენებლების დონე. აქედან გამომდინარე, დღგ-ის ზრდის ხარჯზე შესაძლებლობის ფარგლებში ამოცანების მიხედვით თანხები გადანაწილებულ იქნა კონკრეტულ ა(ა)იპ-ებსა და კონკრეტულ საბიუჯეტო ღონისძიებებზე.

მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა ასევე აღნიშნა, რომ ბიუჯეტის პროექტში არ არის წარმოდგენილი სახელფასო მატება, რადგან ამას ესაჭიროება შესაბამისი ფინანსური რესურსი. 2020 წელში სექტემბრიდან სკოლამდელ დაწესებულებებში იგეგმება ხელფასების ზრდა, რომელიც შეეხება თანამშრომლების გარკვეულ კატეგორიას და არა ადმინისტრაციას. წარმოდგენილ პროექტში ამ

კუთხით შესაბამისი რესურსი არ დევს, მაგრამ მიმდინარეობს გარკვეული სამუშაოები და როდესაც გამოვა მთავრობის შესაბამისი განკარგულება, იგი აუცილებლად უნდა შესრულდეს. იმ პერიოდისთვის, მუნიციპალიტეტი იქნება მზად შესაბამისი ფინანსების მოძიების კუთხით და რეალური შემოსავალიდან გამომდინარე, თუ როგორ და რა დონით მოხდება ხელფასების ზრდა სკოლამდელ დაწესებულებებში.

კომისიის წევრების მიერ ბიუჯეტის ფორმირებასთან დაკავშირებით გამოითქვა შემდეგი რეკომენდაციები :

1: ააიპ ლანჩხუთის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრის ბიუჯეტს დაემატოს 50 000 ლარი და ზაფხულის სეზონის მოსვლასთან დაკავშირებით გაეზარდოს დაფინანსება აუცილებელი მოთხოვნილებებიდან გამომდინარე შესაძლებლობის ფარგლებში.

2: ლანჩხუთის კეთილმოწყობის სამსახურის სრულყოფილი და ეფექტური ფუნქციონირებისთვის აუცილებელია საქმიანი ეზოს მოწყობა თავისი სამრეცხაოთი.

3: კულტურის გაერთიანებას დაემატოს 55 000 ლარი ფოლკლორული ჯგუფებისთვის ფორმების შესაძენად.

4: სახელოვნებო სკოლებს დაემატოს 4 800 ლარი რათა მის დაქვემდებარებაში არსებული ობიექტები დაცვაზე იქნას აყვანილი.

5: გენდერულ საბჭოს დაემატოს 5000 ლარი.

6: მოსაწესრიგებელია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის შენობაში არსებული საპირფარეშო.

7: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებულია ხელფასების მოწესრიგება, რომელიც სასურველია შეეხოს ყველა დონის სპეციალისტს, რისთვისაც დამატებით საჭიროა დაახლოებით 28000 ლარის მოძიება.

8: ქალთა საფეხბურთო სკოლას გაეზარდოს ბიუჯეტი 20 000 ლარით.

9: საფეხბურთო სკოლის სახელფასო ფონდის შესავსებად საჭიროა 17 000 ლარის დამატება.

სხდომის თავმჯდომარემ, ალექსანდრე მახათამემ კენჭისყრაზე წარმოდგინა დადგენილების პროექტი გამოთქმული შენიშვნებით და რეკომენდაციებით.

მომხრე-5, წინააღმდეგი-არცერთი.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დაგენილების პროექტი გამოთქმული შენიშვნებით და რეკომენდაციებით დაბრუნებული იქნეს მერიამში.

დღის წესრიგის მესამე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის №61 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის დამტკიცების თაობაზე ისაუბრა მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა. მან აღნიშნა, რომ მიზანშეწონილად მიაჩნია გაეზარდოს დაფინანსება რამდენიმე ა(ა)იპ-ს, რათა უზრუნველყოფილი იქნას მათი გამართული მუშაობა წლის ბოლომდე. ასევე დაფარული იქნას სოციალური სამსახურის მიერ აღებული ვალდებულებები, ასევე შპს „ლანჩხუთის“ დაფინანსება გაიზარდოს 15000 ლარით. ბიუჯეტში შესაბამისი ცვლილებების ასახვის მიზნით, მიზანშეწონილია დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება, რასაც კომისიის წევრებმა მხარი დაუჭირა.

სხდომის თავმჯდომარემ, ალექსანდრე მახათაძემ კენჭისყრაზე დააგენა განკარგულების პროექტი.

მომხრე 5, წინააღმდეგი-არცერთი.

კომისიამ დაადგინა რომ წარმოდგენილი დოკუმენტი საკრებულოს სხდომაზე განხილულ იქნეს დადებითი დასკვნით:

ამით კომისიის სხდომამ მუშაობა დაასრულა.

საგინანო-საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე:



ალექსანდრე მახათაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის დასკვნა №9

2019 წლის 22 ნოემბერს ჩატარებულ იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომა.

სხდომამ განიხილა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი და მიიღო გადაწყვეტილება:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის შესახებ.

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით კომისიის წევრების მიერ შენიშვნები არ გამოიქმნა.

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის შესახებ.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დაგეგმვის პროექტი გამოთქმული შენიშვნებით და რეკომენდაციებით დაბრუნებული იქნას მერიანი.

3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის №61 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის დამტკიცების თაობაზე.

კომისიამ დაადგინა რომ წარმოდგენილი დოკუმენტი საკრებულოს სხდომაზე განხილულ იქნეს დადებითი დასკვნით.

საფინანსო-საბიუჯეტო

კომისიის თავმჯდომარე:

ალექსანდრე მახათაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის
წევრთა დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

22.11.2019 წელი
11:00 საათი

	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	ალექსანდრე მახათაძე	10 45	<i>[Handwritten Signature]</i>
2	გიგინო ჩხაიძე	10 50	<i>[Handwritten Signature]</i>
3	გიორგი ჩახვაძე	10 55	<i>[Handwritten Signature]</i>
4	დავით ჩხარტიშვილი	<i>ჩ. ქსეხიძე</i>	<i>[Handwritten Signature]</i>
5	ამირან გიგინეიშვილი	<i>ჩ. ქსეხიძე</i>	<i>[Handwritten Signature]</i>
6	იოსებ ჩხაიძე	<i>ჩ. ქსეხიძე</i>	<i>[Handwritten Signature]</i>
7	აკაკი იმნაიშვილი	10 40	<i>ს. ჯ. მ.</i>
8	ზურაბ კუკულავა	10 55	<i>[Handwritten Signature]</i>